საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

მინისტრის ბრძანება №3/255

2006 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხ-ლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის თანდართული დებულება.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლ-თა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 20 აპრილის №3/175 ბრძანება „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულე-ბის დამტკიცების თაობაზე.“

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. გაბაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის

საექსპერტო კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისია (შემდგომში – საექსპერტო კომისია) არის „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონის და ამ დებულების საფუძველზე საქართველოს კინემტოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან (შემდგომში – ეროვნული კინოცენტრი) შექმნილი კოლეგიური ორგანო.

2. საექსპერტო კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული კინოცენტრის დებულებითა და ამ დებულებით.

3. საექსპერტო კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად. მის საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღებაში ჩარევის უფლება არა აქვს ეროვნული კინოცენტრის დირექტორსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს (შემდგომში – მინისტრი).

4. საექსპერტო კომისიის დებულების პროექტს შეიმუშავებს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 25 თებერვლის ბრძანება №05/03 - ვებგვერდი, 26.02.2016წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №05/03 - ვებგვერდი, 29.10.2021წ.

მუხლი 2. საექსპერტო კომისიის შემადგენლობა

1. საექსპერტო კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს არანაკლებ 3 და არა უმეტეს 11 წევრისაგან, რომელთაც ნიშნავს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი განსაზღვრული ვადით ან სამუშაოს შესრულების ვადით.

2. საექსპერტო კომისიის წევრთა დანიშვნისას ეროვნული კინოცენტრის დირექტორი მათთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამის მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

3. საექსპერტო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას მისი შეცვლა ხდება დარჩენილი ვადის დასრულებამდე.

4. საექსპერტო კომისიის წევრი ტოვებს კომისიის შემადგენლობას, თუ მისი ავტორობით ან სხვა სახის მონაწილეობით შექმნილი კინოპროექტი განიხილება საექსპერტო კომისიის მიერ.

5. საექსპერტო კომისიის წევრის განთავისუფლება, გამოწვევა ან უფლებამოსილების სხვა სახით შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ბრძანება №3/84 - სსმ III, №63, 04.06.2010წ., მუხ.938

მუხლი 3. საექსპერტო კომისიის საქმიანობის ორგანიზაცია

1. საექსპერტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების საშუალებით.

2. საექსპერტო კომისიის სხდომებს იწვევს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი.

3. საექსპერტო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ხმების უბრალო უმრავლესობით.

4. თუ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ვადაზე ადრე ტოვებს თანამდებობას, საექსპერტო კომისიამ უნდა ჩაატაროს ახალი არჩევნები დარჩენილი ვადისთვის არა უგვიანეს 5 დღისა.

5. საექსპერტო კომისიის სხდომებს უძღვება საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს მოადგილე.

6. საექსპერტო კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი საექსპერტო კომისიის მდივნის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას აკისრებს ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთ თანამშრომელს.

7. საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8. საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

9. საექსპერტო კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი – მოადგილე.

10. საექსპერტო კომისია კონკურსზე შემოტანილ პროექტებს აფასებს ამ დებულებით დადგენილი წესით.

11. საექსპერტო კომისია ამ დებულებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას წარმოებაში ჩაშვებულ/ჩასაშვებ ფილმზე თანხის დამატების თაობაზე. წარმოებაში ჩაშვებულ/ჩასაშვებ ფილმზე თანხის დამატების წესი და პირობები განისაზღვრება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12. წარმოებაში ჩასაშვებ ფილმზე დამატებითი თანხის გაცემის თაობაზე, საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე.

13. წარმოებაში ჩასაშვები ფილმისათვის დამატებითი თანხის გაცემის თაობაზე შესაბამისი რეკომენდაციის თხოვნით, მინისტრს შესაძლებელია მიმართოს ფილმის პროდიუსერმა, ან ფილმის პროდიუსერის შუამდგომლობის საფუძველზე, ეროვნულმა კინოცენტრმა.

14. წარმოებაში ჩასაშვებ ფილმს თანხა შეიძლება დაემატოს იმ შემთხვევაში, თუ ფილმის გადაღების დაწყება ვერ მოხერხდა, კონკურსში მონაწილეობისას ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხის ეროვნული კინოცენტრის მიერ ნაწილობრივი დაფინანსების გამო.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ბრძანება №3/83 - სსმ III, №63, 04.06.2010წ., მუხ.937

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ბრძანება №3/84 - სსმ III, №63, 04.06.2010წ., მუხ.938

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №05/03 - ვებგვერდი, 29.10.2021წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 19 აპრილის ბრძანება №05/08 - ვებგვერდი, 19.04.2022წ.

მუხლი 4. პროექტების შეფასების წესი

1. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონ-კურსზე შემოტანილი პროექტების დოკუმენტაციას, შემდეგ მონაწილეობენ გასაუბრებაში პროექტის ავტორებთან. გასაუბრების თარიღსა და ადგილს ნიშნავს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

2. კონკურსზე შემოტანილ პროექტს საექსპერტო კომისიის წევრები აფასებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, პროექტის შეფასების წესის მიხედვით. ინფორმაცია საექსპერტო კომისიის ცალკეული წევრის მიერ განხორციელებულ შეფასებაზე დახურულია.

3. საექსპერტო კომისიის წევრები შეფასებისას ითვალისწინებენ პროექტის მხატვრულ და კომერციულ ღირებულებას.

4. თითოეული კომისიის წევრი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს მის მიერ დაწერილ ქულებს.

5. საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს დასკვნის სახით წარუდგენს ეროვნულ კინოცენტრს. დასკვნას ადგენს და ხელს აწერს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 4 ივნისის გრძანება №3/124 - სსმ III, №81, 05.06.2008წ., მუხ.870

მუხლი 5. საექსპერტო კომისიის მიზნები და ფუნქციები

1. საექსპერტო კომისიის მიზანია კონკურსის წესით გამოავლინოს საუკეთესო კინოპროექტები მათი რეალიზების მიზნით.

2. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია განახორციელოს ,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკონკურსო დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა, განიხილოს პროექტები.

3. საექსპერტო კომისიის დასკვნისა და პროექტის დაფინანსების თაობაზე ეროვნული კინოცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ კინოცენტრსა და ეროვნული ფილმის პროდიუსერს, დისტრიბუტორს, დემონსტრატორს ან ავტორს (ავტორებს) შორის ფორმდება ხელშეკრულება ეროვნული ფილმის სცენარის ან პროექტის შექმნის, წარმოების ან გაქირავების დაფინანსების თაობაზე. ყველა აღნიშნული ხელშეკრულება დადგენილი წესით ინახება ეროვნულ კინოცენტრში და ექვემდებარება სრულ საჯაროობას.

4. სახელმწიფო დაფინანსების განაწილებისას ეროვნული კინოცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, ამ დებულებითა და საკონკურსო დებულებით.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 4 ივნისის გრძანება №3/124 - სსმ III, №81, 05.06.2008წ., მუხ.870

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, როგორც თვით დებულების მიღება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 25 თებერვლის გრძანება №05/03 - ვებგვერდი, 26.02.2016წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ოქტომბრის გრძანება №05/03 - ვებგვერდი, 29.10.2021წ.